ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1205700

ნომერი: AR1205681

თარიღი : 28.03.2014

გაცემის თარიღი : 04.04.2014

გაცნობის თარიღი : 04.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გიორგი სააკაძის მე-2 გასასვლელი, N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ოყროშიძე პ/ნ 01007004689
- თბილისი, მერაბ კოსტავას 60. ბინა 8.

ორგანიზაცია:

- შპს "აკვარიუმი 2010" კოდი: 404854582

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

საყრდენი კედლის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება, ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, გიორგი სააკაძის მე–2 გასასვლელი #11–ში (ნაკვეთი #016/107), შპს „აკვარიუმი 2010“ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობის ნებართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები N 01.10.13.016.107; საკადასტრო გეგმაზე მონიშნული საპროექტო კედელი; არსებული ფოტო და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, გიორგი სააკაძის მე–2 გასასვლელი #11–ში (ნაკვეთი #016/107), შპს „აკვარიუმი 2010“ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობის შესაძლებლობას.

ასევე გაითვალისიწნეთ: სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას დაცული უნდა იყოს და არ დაზიანდეს არსებული გაზის მილი, გადატანის შემთხვევაში სამშენებლო მოედანზე თან იქონიეთ შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული თანხმობა.

გაითვალისწინეთ: საპროექტო კედლის მშენებლობა განხორციელდეს შპს „აკვარიუმი 2010“ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge